განმცხადებელი : თორნიკე კაკალაშვილი

თარიღი : 18-03-2018

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 7

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : გიორგი გაბუნია

სადავო მასალა :

ასობით გაჩეხილი ხე და განადგურებული ლანდშაფტი-ივანიშვილის ხეების გადატანის მძიმე კვალი გურიასა და აჭარაში; 18.03.2018; სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2 ლინკი: http://rustavi2.ge/ka/news/99325

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება :

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის საკვირაო გადაცემა P.S-ის წამყვანმა გიორგი გაბუნიამ, 18 მარტს, პირდაპირ ეთერში, 22:08 წუთზე, აჭარაში ხეების მოჭრაზე გაკეთებულ სიუჟეტზე კომენტირებისას ასი ათასობით ქრისტიანის რელიგიური გრძნობები შეურაცხყო,როდესაც ცინიკურად განაცხადა, რომ "იესო ქრისტემ საშინელი შეცდომა დაუშა, როდესაც 2000 წლის წინ ისრაელში მოვიდა. უნდა მოსულიყო აჭარაში და ჯვარზე კი ვეღარ გააკრავდნენ, იმიტომ რომ ხე აღარ იქნებოდა დარჩენილი და ამ დროისთვის ბიძინას ეზოში იქნებოდა გადატანილი ყველა ხე. ასე იცოცხლებდა იესო ღრმა სიბერემდე, მთავარია სადმე ბიძინასთვის არ გადაეკვეთა გზა, ან უარესი, მის ეზოში არ დაეწყო ქადაგება, თორემ იგივენაირად დაასრულებდა, როგორც 2000 წლის წინ, ან უარესად". გაბუნიას აღნიშნული ქრისტიანოფობიური განცხადება მორწმუნე საზოგადოების უკიდურეს აღშფოთებას იწვევს. ეს ყოველივე სცდება ყოველგვარი გამოხატვის თავისუფლებას და შეიცავს რელიგიური დისკრიმინაციის აშკარა ნიშნებს. მან ამ განცხადებით მასხარად აიგდო და ფაქტობრივად, ფეხქვეშ გათელა წმინდა სახარება და მთელი ქრისტიანული სწავლება/ღვთისმეტყველება. გაბუნიამ ათობით ათასი ტელემაყურებლის წინაშე, პირდაპირ ეთერში, აგდებულად მოიხსენია კაცობრიობის მხსნელი, ჩვენი უფალი-ღმერთი იესო ქრისტე და წაახალისა ქრისტიანთა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია (უხეშად დაირღვა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მეშვიდე პრინციპი). რწმენასთან და ზოგადად, რელიგიურ გრძნობებზე თამაში ძალზე სახიფათოა! მოგიწოდებთ სათანადო შეფასება მისცეთ ამ ვაი-ჟურნალისტის ცინიზმით აღსავსე, ანტიქრისტიანულ, ქსენოფობიურ და პროვოკაციულ მონოლოგს და დაგმოთ იგი!

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები